


შპს წუნდა
ფინანსური ანგარიშგება
2018



შპს წუნდა –ს დირექტორი
ალექსანდრე ნათენაძე



სარჩევი

ინფორმაცია საზოგადოების და მისის საქმიანობის შესახებ.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
სრული შემოსავლისა და მოგების ანგარიშგება	5
საადრიცხო პოლიტიკა და ახსნა–განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრს	
დასრულებული პერიოდისათვის	6
ახსნა –განმარტებითი შენიშვნები	9

შპს წუნდა –ს დირექტორი
ალექსანდრე ნათენაძე



ინფორმაცია საზოგადოების და მისის საქმიანობის შესახებ

საზოგადოების სამართლებრივი ფორმა და დასახელება	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „წუნდა“
საზოგადოების საიდენტიფიკაციო კოდი	208 173 723
საზოგადოების იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი. გ. სააკაძის 18-ა. ქ. თბილისი თ. ჩანტლადის #2
საზოგადოების დაფუძნების თარიღი	30/05/1997
საზოგადოების ტელეფონი	032 2 75 85 85
საზოგადოების ელ. ფოსტა	INFO@TSUNDA.GE
საზოგადოების ვებ. გვერდი	WWW.TSUNDA.GE
საზოგადოების დირექტორი	ალექსანდრე ნათენაძე
საზოგადოების საქმიანობის საგანი	ავიჯის წარმოება

შპს წუნდა –ს დირექტორი:
ალექსანდრე ნათენაძე



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	12/31/2018	12/31/2017
ფული და ფულის ექვივალენტები	1 817 852	2 035 793
სავაჭრო მოთხოვნები	221 062	15 665
გადახდილი ავანსები	10 169	0
მარაგები	1 104 523	1 103 826
მზა პროდუქცია	42 767	47 526
სხვა	1 061 756	1 056 300
სხვა მიმდინარე აქტივები	56 459	42 197
სხვა არამატერიალური აქტივები	25 402	18 098
ძირითადი საშუალებები	3 407 788	2 864 642
სხვა გრძელვადიანი აქტივები	12 438	12 438
სულ აქტივები	6 655 693	6 092 659
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	56 577	-216 146
საგადასახადო ვალდებულებები	-153 647	-150 909
სულ ვალდებულებები	-97 070	-367 055
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება	6 752 763	6 459 714
სულ კაპიტალი	6 752 763	6 459 714
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	6 655 693	6 092 659

შპს წუნდა –ს დირექტორი:

ალექსანდრე ნათენაძე



სრული შემოსავლისა და მოგების ანგარიშგება

დასახელება	12/31/2018
ნეტო ამონაგები	3 675 550
საქონლის გაყიდვიდან	3 675 550
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1 177 560
საწყისი მარაგები	-1 103 826
მარაგების შესყიდვა	-1 178 257
საბოლოო მარაგები	1 104 523
საერთო მოგება	2 497 990
სხვა შემოსავალი	15 943
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1 320 195
ცვეთა და ამორტიზაცია	-395 080
საპროცენტო შემოსავალი	37 863
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-490 843
სულ საოპერაციო ხარჯები	-2 152 312
საოპერაციო მოგება	345 678
მოგება/ (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	345 678
მოგება / (ზარალი)	345 678
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	6 459 714
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-52630
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	345 679
საკუთარი კაპიტალი საანგარისგებო პერიოდის ბოლოს	6 752 763

შპს წუნდა –ს დირექტორი
ალექსანდრე ნათენაძე



სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრს დასრულებული პერიოდისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს წუნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 30/05/1997 სარეგისტრაციო ნომერი: B12051227) კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი. გიორგი სააკაძე 18-ა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს - ავეჯის წარმოება.

კომპანიის დირექტორი: ალექსანდრე ნათენაძე (პ.501027000802)

2. ფინანსური ანგარიშგემოს მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შეაბამისად. საწარმოს მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ეროვნულ ვალუტას - ლარს.

3. ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

4. მოგების გადასახადები.

შპს წუნდა -ს დირექტორი
ალექსანდრე ნათენაძე



მოგების გადასახადები ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულის თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ძირითადი საშუალებები – 20 %

ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%

არამატერიალური აქტივები – 20%

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში.

7. აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო – მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია.

შპს წუნდა –ს დირექტორი

ალექსანდრე ნათენაძე



იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

8. მარაგები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად.

9. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებისა და პროდუქციის გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების / საქონლის მიწიდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდებოდა საწარმოს ფულად ერთეულში. საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.

11. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

შპს წუნდა –ს დირექტორი:

ალექსანდრე ნათენაძე



საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან ხარჯებში.

12. დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, წარმოადგენს გამომუშავებულ, ფიქსირებულ და ბონუსების ჯამს. გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

ახსნა –განმარტებითი შენიშვნები

1. არამატერიალური აქტივები – ელექტრონული პროგრამა აპექსი და 3- დ კონსტრუქტორი, რასაც კომპანია იყენებს სასაქონლო –მატერიალური მარაგების აღრიცხვისთვის.

დასახელება	2018	2017
სხვა არამატერიალური აქტივები	25402	18098

2. შემოსავალი რეალიზაციიდან

დასახელება	2018	2017
საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	3,675,550	4,057,682

3. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები.

დასახელება	2018	2017
სხვა ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	490 843	507 498

- 4 სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი) – მოიცავს კურსთაშორის სხვაობით მიღებულ შედეგს.

შპს წუნდა –ს დირექტორი
ალექსანდრე ნათენაძე



5 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2019 წლის 25 სექტემბერს.

შპს წუნდა-ს დირექტორი:
ალ. ნათენაძე



შპს წუნდა -ს დირექტორი:
ალექსანდრე ნათენაძე

